საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 07 ნოემბერი 2014 წ.

ბრძანება № 01-08/99

„სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადებისა და ვადების დადგენის შესახებ“ რექტორის 2014 წლის 23 ოქტომბრის N 01-08/90 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის; ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნას ცვლილებები „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადებისა და ვადების დადგენის შესახებ“ რექტორის 2014 წლის 23 ოქტომბრის N 01-08/90 ბრძანებაში და კანდიდადტთა რეგისტრაციის ვადა გაგრძელდეს 2014 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით 10.00 საათიდან 16.00 საათამდე.

2. სტიპენდიის მინიჭების კომისიამ კონკურსანტთა განცხადებები განიხილოს 2014 წლის 17 ნოემბრიდან 18 ნოემბრის ჩათვლით. საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეეს 2014 წლის 21 ნოემბერს.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ხელოვნების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი ერმილე მესხია